ქართული ეროვნული მენტალიტეტის ეკონომიკური ასპექტის ზოგიერთი საკითხი

DOI:10.36962/ECS106/11-12/2024-18

ვლადიმერ ბასარია
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
vladimerbasaria@yahoo.com

რეზიუმე

ეროვნული ეკონომიკური მენტალიტეტის ცნება სულ უფრო ხშირად ხდება ქართული სამეცნიერო დისკურსის საგანი. საკითხისადმი ინტერესის გაღვივება გარკვეულწილად უკავშირდება იმას, რომ მეურნეობრივ პროცესებზე ნაციონალური აზროვნების გავლენა სულ უფრო თვალსაჩინო ხდება ბოლო პერიოდში საზოგადოებისათვის.

სტატიაში საუბარია საქართველოს მოსახლეობის მეურნეობრივი ქცევების განმაპირობებელ და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მიმართულების განმსაზღვრელ საერთო ინტელექტუალურ-ემოციურ თავისებურებებზე; განხილულია ქართული ეთნოსის მეურნეობრივი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების პროცესი ისტორიულ ასპექტში და გაანალიზებულია სხვადასხვა ფაქტორის გავლენა ეროვნული მენტალიტეტის ფორმირებაზე; წარმოჩენილია ქართული ეკონომიკური ხასიათის მწარმოებლური მხარეები და გამოვლენილია ის მენტალური განსაკუთრებულობანი, რომლებიც აფერხებენ მეურნეობრივი პროცესების განვითარებას ჩვენ ქვეყანაში.

გაკეთებულია დასკვნები საბაზრო მექანიზმებთან ქართული მენტალიტეტის თავსებადობის უზრუნველმყოფი ღონისძიებების გატარების მნიშვნელობაზე.

რეკომენდებულია აღნიშნულ საკითხებზე სამეცნიერო წრის, საზოგადოებისა და ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ყურადღების გამახვილება.

საკვანძო სიტყვები: მენტალიტეტი; ეროვნული მენტალიტეტი; ეროვნული ეკონომიკური მენტალიტეტი; მეურნეობრივი ქცევა; ეკონომიკური კულტურა; მეურნეობრივი განწყობები; ეკონომიკის ვექტორული განვითარება.

ძირითადი ტექსტი

ალბათ შეგიმჩნევიათ, რომ ამა თუ იმ მოვლენას (მ.შ. ეკონომიკურს) ადამიანები ხშირად შემდეგი ფრაზებით ხსნიან: „რა გაეწყობა, ასეთი მენტალიტეტი გვაქვს“; „ეს ჩვენი მენტალიტეტის დამსახურებაა“ და მისთ.

რას გულისხმობს ეროვნული მენტალიტეტი და რამდენად ახდენს ეს სუბსტანცია მეურნეობრივ პროცესებზე გავლენას?

თითოეული ადამიანი რომ აბსოლუტურად უნიკალურია, ეს არავისთვისაა უცხო. ამავე დროს ჩვენ ყველანი მეტად თუ ნაკლებად იმ ნიშან-თვისებების მატარებლები ვართ, რომლებიც საკუთარი ერის, ქვეყნის, მშობლიური ქალაქისა თუ სოფლისთვისაა დამახასიათებელი. შესაბამისად, ცალკეული ადამიანებისა თუ მათი ჯგუფის (ერის) ეკონომიკურ და სხვა ტიპის ქცევებს ზემოხსენებული საერთო ინტელექტუალურ-ემოციური თავისებურებებიც განსაზღვრავენ და განაპირობებენ გარკვეულწილად.

მართალია, კაცობრიობის მეურნეობრივ ქცევას პირველ რიგში ეკონომიკური კომპონენტები (მატერიალური და არამატერიალური სიკეთის მიღების მოტივაცია) განაპირობებს, მაგრამ

არაეკონომიკური ელემენტების იგნორირება ამ ასპექტში სწორი არ იქნება. ამის არგუმენტად შეგვიძლია მოვიშველიოთ ადამიანისთვის დამახასიათებელი თვისება, რომლის მიხედვით პიროვნებას, გამდიდრების ნდომა-სურვილთან ერთად, ხშირად საკუთარი „სახის შენარჩუნებაც“ სურს საზოგადოების თვალში (მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ რაციონალური ადამიანის მაქსიმიზირებელი ქცევა გულისხმობს არა მხოლოდ შეძლებისდაგვარად მეტი მოგების მიღებას, არამედ პრესტიჟის მაქსიმიზაციასაც). ამასთან, ისიც გასათვალისწინებელია, რომ მასტიმულირებელი არამეურნეობრივი მიზეზების ხარისხი არაერთნაირია სხვადასხვა საზოგადოებაში და ეს აისახება კიდეც მათი მწარმოებლურობის დონეზე (მაგალითად, ეჭვგარეშეა, რომ იაპონელთა განსხვავებულად სენსიტიური დამოკიდებულება საკუთარი საწარმოს ავტორიტეტისადმი ამ ქვეყნისათვის განსაკუთრებულ მწარმოებლურ ძალას წარმოადგენს; იგივე ითქმის გერმანელთა წესრიგისადმი დამოკიდებულების მნიშვნელოვან მატერიალურ ეფექტიანობაზე მათი სახელმწიფოსათვის და ა.შ.).

ეროვნული ეკონომიკური მენტალიტეტი (ერის მეურნეობრივი საქმიანობის ფასეულობათა სისტემა: მდგრადი ფსიქოლოგიური რეაქციები, ტრადიციები, ქცევის სტერეოტიპები და სხვ.), რომელიც საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენით ფორმირდებოდა, ერის სოციალურ-ეკონომიკური ნორმების (წესებისა და მათი აღსრულების მექანიზმების) ხასიათს განსაზღვრავს, რომლებიც, თავის მხრივ, ნაციის ეკონომიკური განვითარების ისტორიული ტრაექტორიის ფორმირებას განაპირობებს.

რომელ ფუნდამენტურ ფაქტორებს შეიძლება დავუკავშიროთ თანამედროვე ქართული მეურნეობრივი მენტალიტეტის ჩამოყალიბება და რამდენად მნიშვნელოვანია მისი როლი ქვეყნის ეკონომიკური პროცესების მიმდინარეობაში?

ჩვენი ეროვნული ეკონომიკური აზროვნების ფორმირება, პირველ რიგში, განპირობებულია ისტორიულ-პოლიტიკური და ბუნებრივ-გეოგრაფიული ფაქტორების ერთობლიობით, რომელთა გავლენის ქვეშ საუკუნეების მანძილზე პრაქტიკულად გადარჩენის რეჟიმში უწევდა ჩვენ ხალხს ცხოვრება. მტრის გამუდმებული შემოსევებისა თუ ხშირი შიდა დაპირისპირებების შედეგად გაძარცვული შინამეურნეობები, ხვნა-თესვისათვის გამოსადეგი მიწის სიმცირე, დაბალი და არასტაბილური მოსავლიანობა - სწორედ ამ გარემოებების ხანგრძლივი მოქმედების გამოძახილია ჩვენ საზოგადოებაში დამკვიდრებული მოთხოვნილება ქვეყანაში გამოთანაბრებითი გადანაწილების მძლავრ მექანიზმზე; მეტწილად ამ მოვლენების გავლენის შედეგია ისიც, რომ ჩვენში დღესაც საკმაოდ მაღალია ხელისუფლებისადმი პატერნალისტური დამოკიდებულების დონე; ინდივიდუალურ შრომასა და კეთილდღეობას შორის ისტორიულად სუსტი ურთიერთკავშირის გამო დამკვიდრდა ქართულ საზოგადოებაში რწმენა ბედის გარდუვალობაში და დაისადგურა წარმოდგენამ უშრომელად ცხოვრება-არსებობის შესაძლებლობაზე (მადლობა ღმერთს, ამას რაიმე მასშტაბური ხასიათი არასდროს მიუღია - ქართველობა ოდითგან ცნობილია, როგორც შრომისმოყვარე, მაღალინტელექტუალური შესაძლებლობებით დაჯილდოებული ეთნოსი, რომლის ურთულეს ისტორიულ წარსულში ფიზიკური გადარჩენის წინაპირობა, მხედრულ შემართებასთან ერთად, სწორედ მუყაითი შრომა და გარჯა იყო).

ზემოხსენებული ეროვნულ-მენტალური თავისებურებები აბსოლუტურად შეუთავსებელია ადამიანების ინდივიდუალურ ინიციატივიანობაზე დამოკიდებული საბაზრო მექანიზმების ეფექტიან ფუნქციონირებასთან, ამიტომ ქართული ეკონომიკური აზროვნების ეს განსაკუთრებულობები მიჩნეული უნდა იქნას ქვეყნის მეურნეობრივი პროცესების განვითარების შემაფერხებელ მნიშვნელოვან გარემოებად.

ქართული ეკონომიკური კულტურის ფორმირებაზე გავლენის მქონე კიდევ ერთი წონადი ფაქტორი მართლმადიდებლური ეთიკა გახლავთ. იმის გამო, რომ ქრისტიანული მოძღვრება არ განიხილავს მატერიალურ კეთილდღეობას ადამიანის ბედნიერების წყაროდ, ქართულ საზოგადოებაში მყარად მოიკიდა ფეხი ქონების მომხეჭველობისადმი ერთგვარმა ნეგატიურმა დამოკიდებულებამ (ჩვენში ამგვარი განწყობის გაღრმავება შეგვიძლია დავუკავშიროთ თანამედროვე

ქართული ეკონომიკური ქცევის განმსაზღვრელი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორის - საბჭოური ეპოქისთვის დამახასიათებელი ულტრასოციალისტური იდეოლოგიის ზემოქმედების შედეგს). ქონების დაგროვებისადმი საზოგადოების ასეთ ტრადიციულ დამოკიდებულებას ადასტურებს თუნდაც ის, რომ საუბარში სიტყვა „ქონებას“ ჩვენ ხშირად „მოხვეჭას“ ვუსადაგებთ (ქონების მოხვეჭა), ხოლო „ქონების მონაგრებას“ (ე.ი. გარჯით შეძენას) კი თითქმის არ ვხმარობთ.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საუკუნოვანი ქრისტიანული ქადაგების შედეგია ღარიბ-ღატაკების, გაჭირვებულების მიმართ ჩვენ საზოგადოებაში დამკვიდრებული გამძაფრებული კოლექტიური (ოჯახური, ჯგუფური) პასუხისმგებლობისა და მზრუნველობის გრძნობა. შესაძლოა, ქართული ეკონომიკური აზროვნების ამგვარი „არასაბაზრო“ ხასიათი გარკვეულწილად ამუხრუჭებდეს კიდეც ერის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების პროცესს, მაგრამ მეურნეობრიობის პოზიციიდან ამ მენტალური თავისებურების მხოლოდ უარყოფით კონტექსტში მოხსენიება, ალბათ, არასწორი იქნება - ეჭვგარეშეა, რომ კოლექტივიზმიც პოზიტიური მუხტის მატარებელია ეკონომიკური განვითარებისათვის; არც ისაა საკამათო, რომ ეკონომიკის სტაბილურ ზრდას ეროვნული შემოსავლის გონივრული გადანაწილება განაპირობებს.

კიდევ ერთი ფაქტორი, რომელსაც ჩვენი ეკონომიკური მენტალიტეტის ჩამოყალიბების პროცესში უკვალოდ არ ჩაუვლია, გახლავთ ის, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისში სოციალისტური გადატრიალების შედეგად ქვეყანას პრაქტიკულად წაერთვა ბუნებრივი ევოლუციის საშუალება: კაპიტალიზმმა ვერ მოასწრო საქართველოში შრომის (და მეწარმეობის) მტკიცე ჩვევების დამკვიდრება, შრომისადმი (და მეწარმეობისადმი) საზოგადოების წევრების ფსიქიკაში საჭირო პოზიტიური განწყობების დამყარება. ოქტომბრის რევოლუციის შედეგად შემოღებულმა განაწილების თითქმის გათანაბრებითმა პრინციპმა კი საერთოდ დაამახინჯა ადამიანების მეურნეობრივი აზროვნება და საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს ისეთი მოსაზრება–განწყობა ჩაუნერგა (ან აღუდგინა ადრე არსებული), რომ შრომის (საქმიანობის) მოცულობა–ხარისხს ადამიანის (პიროვნების) მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დონისათვის უშუალო, განმაპირობებელი მნიშვნელობა არა აქვს.

ვფიქრობ, ქართული ეკონომიკური მენტალიტეტის ფორმირების ზემოაღწერილი მოკლე ისტორიული რეტროსპექტივა საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ ის მთავარი ფასეულობები, რომლებსაც ჩვენი თანამედროვე მეურნეობრივი მსოფლმხედველობა ეფუძნება ძირითადად, ეს გახლავთ: სახელმწიფო პატერნალიზმი, ტრადიციონალიზმი და კოლექტივიზმი.

ზემოაღნიშნული ტრიადის გავლენის შეფასება ჩვენი ქვეყნისა და ხალხის განვითარებაზე არაერთგვაროვანია: ურთიერთდახმარების, სოლიდარობის, საზოგადოების მიმართ პასუხისმგებლობის, ტრადიციებისა და იდეალებისადმი ერთგულების პრინციპებზე დაფუძნებული ღირებულებათა სისტემა, ერთი მხრივ, ხელს უწყობდა ქვეყანაში კოლექტიური უსაფრთხოების გაძლიერებას, სოციალურად შეჭირვებულთა მდგომარეობის შემსუბუქებას, დანაშაულის დაბალი დონის შენარჩუნებას, მასებში განათლების გავრცელებას, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებას თუ საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი (საზოგადოებრივი დანიშნულების) მატერიალური და (განსაკუთრებით) სულიერი სიკეთეების შექმნას, ხოლო, მეორე მხრივ, ზღუდავდა კერძო ინიციატივიანობას, შრომით (მეწარმეობრივ) მოტივაციასა და კონკურენციას, ცალკეული ადამიანის დემოკრატიულ უფლებებს და სხვ., რაც უდავოდ ნეგატიურად აისახა ჩვენი მოსახლეობის კეთილდღეობაზე.

მეურნეობრივ ქცევაზე გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე ზემოაღწერილი განწყობები იმდენად მყარადაა დამკვიდრებული (შესისხლხორცებული) ჩვენი საზოგადოების ცნობიერებაში, რომ ამ განწყობებისაგან აბსტრაჰირებით პრაქტიკულად შეუძლებელია თანამედროვე ქართული ეკონომიკის ვექტორული განვითარების პრობლემების ობიექტური შესწავლა. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ქართული და ევროპული სოციალურ - ეკონომიკური ინსტიტუტების დიფერენცირებულობის უმნიშვნელოვანესი საკითხის მეცნიერული კვლევებიც კი ხშირად ქართული ეთნოსის სპეციფიკური აზროვნების სრული იგნორირებით მიმდინარეობს იმ დროს,

როცა აღნიშნული განსხვავებულობების წყარო სწორედ მენტალურ ღირებულებათა სისტემაში უნდა ვეძიოთ ძირითადად.

აქ უნდა ითქვას, რომ ქართული ეკონომიკური მსოფლმხედველობა, მართალია, აღმოსავლურს უფრო მიესადაგება, მაგრამ ეს გარემოება იმგვარად არ უნდა იქნას აღქმული, თითქოს დასავლური ინსტიტუციური მატრიცა ჩვენი საზოგადოებისათვის პრინციპულად მიუღებელია. ქართულ ეთნოსს განსხვავებული სოციალურ-კულტურული სივრცეებისადმი თანაბარი გახსნილობისა და ამ ურთიერთობებიდან მეტწილად სიკეთეების მიმღებლობის უნიკალური ისტორიული გამოცდილება აქვს, რომელიც წარმატებით უნდა გამოვიყენოთ დღესაც.

ამ პოზიციიდან (და ბევრი სხვა გარემოებიდან გამომდინარე), ვფიქრობ, სავსებით გამართლებულია დღევანდელი ხელისუფლების მიერ მრავალვექტორული ეკონომიკური პოლიტიკის წარმოება, რომელიც კიდევ უფრო მეტად უნდა გათავისუფლდეს პოლიტიკური პოზიციიდან აკვიატებული მოსაზრებებისაგან და ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მეწარმე სუბიექტებს საშუალება ჰქონდეთ საკუთარი სამეურნეო საქმიანობის არჩევანი ეკონომიკური (და არა პოლიტიკური) კონიუნქტურიდან გამომდინარე გააკეთონ - ჩვენი ქვეყანა გახსნილი უნდა იყოს ინვესტიციების აღმოსავლეთიდან, სამხრეთიდან, დასავლეთიდან თუ ჩრდილოეთიდან შემოდინებისათვის; ჩვენთვის სასიცოცხლოდაა მნიშვნელოვანი არა მარტო ევროკავშირის, არამედ დსთ-ის, ჩინეთის, ირანის, სხვა ქვეყნების სამეურნეო ბაზრები და განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ მათ ასათვისებლად მთავრობა მართლაც სერიოზულ ნაბიჯებს დგამს.

ბოლო პერიოდში ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებისაკენ მიმართულ პროცესებს მნიშვნელოვნად წაადგება სამეცნიერო წრეების წარმომადგენლების (ეკონომისტების, სოციოლოგების, სხვების) ერთობლივი ძალისხმევა იმ გზებისა და საშუალებების მოსაძიებლად, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოებაში დამკვიდრებული ზოგიერთი აბსურდული, უსარგებლო ეკონომიკური ქცევა–მენტალიტეტის შერბილება-მოსწორებას; დაძლევენ მეწარმეობრივი საქმიანობისადმი ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის უნდობლობასა და შიშს, რაც საბაზრო ურთიერთობების განვითარებისათვის ხელისშემშლელი, ძნელად გარდასატეხი (მაგრამ არა უსაშველო) განწყობაა უეჭველად; განამტკიცებენ საზოგადოების წევრებში მესაკუთრეობრივ განწყობა–მოტივაციას; შეარბილებენ საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში ჯერ კიდევ ფართოდ დამკვიდრებულ ხელისუფლების როლის გადამეტებულ (გაზვიადებულ) ხასიათს.

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ მეცნიერ-მკვლევრების ეს ძალისხმევა უბრალოდ თავისუფალი მეურნეობრივი ურთიერთობების განმტკიცებაზე კი არ იყოს ორიენტირებული, არამედ საბაზრო ეკონომიკის ისეთი მოდელის შექმნა-ფუნქციონირებას მოემსახუროს საბოლოო ჯამში, რომლის პირობებშიც ჩვენი ეროვნული მენტალიტეტისა და ბაზრის ფუნდამენტური პრინციპების წარმატებული თანაარსებობა გარანტირებული იქნება.

დასკვნები და რეკომენდაციები

ზემოთ გამართული მსჯელობა, ვიმედოვნებ, მეტად თუ ნაკლებად წარმოაჩენს ეროვნული მეურნეობრივი მენტალიტეტის გადამწყვეტ მნიშვნელობას საბაზრო ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირებისათვის; გადმოსცემს ქართული მეურნეობრივი აზროვნების ძირითად არსს და განმარტავს ჩვენი მოსახლეობის ეკონომიკური განწყობების გამომწვევ მიზეზებს; განსაზღვრავს ქართული მენტალიტეტის საბაზრო ურთიერთობებთან შეგუებისათვის საჭირო მეურნეობრივი, იდეოლოგიური თუ ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარების აუცილებლობაში ქვეყნის ხელისუფლების, სამეცნიერო წრის, სხვადასხვა საზოგადოებრივი ინსტიტუტების ქმედითი საქმიანობის როლს და მნიშვნელობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Pál Czeglédi, Brad Lips, and Carlos Newland. The Economic Mentality of Nations. Cato Journals. 2021. 657-689.
2. Clark, J. R., and Lee, D. R. (2017) "Econ 101 Morality: The Amiable, the Mundane, and the Market." *Econ Journal Watch* 14: 61–76.
3. Д.А. Китова., А.А. Китов. Экономический менталитет как проблема психологического анализа: от теоретических положений к эмпирическим исследованиям. Институт психологии Российской академии наук. Социальная и экономическая психология. 2020. Том 5. № 4(20). (стр. 67-95).
4. Полякова Т.А., Ромах Н.И. Ценностно-регулятивные механизмы менталитета личности. Аналитика культурологии. 2005. № 3. (стр. 55-59).
5. Буянова Ю.В. История исследования понятия «менталитет» в зарубежной психологии. История отечественной и мировой психологической мысли: постигая прошлое, понимать настоящее и предвидеть будущее. М.: Изд-во «Институт психологии РАН», 2006. (стр. 168-171).

REFERENCES:

1. Pál Czeglédi, Brad Lips, and Carlos Newland. The Economic Mentality of Nations. Cato Journals. 2021. 657-689.
2. Clark, J. R., and Lee, D. R. (2017) "Econ 101 Morality: The Amiable, the Mundane, and the Market." *Econ Journal Watch* 14: 61–76.
3. D.A. Kitova, A.A. Kitov. Economic mentality as a problem of psychological analysis: from theoretical provisions to empirical research. Institute of Psychology of the Russian Academy of Sciences. Social and Economic Psychology. 2020. Vol. 5. No. 4(20). (pp. 67-95).
4. Polyakova T.A., Romakh N.I. Value-regulatory mechanisms of personality mentality. Analytics of cultural studies. 2005. No. 3. (pp. 55-59).
5. Buyanova Y.V. History of the study of the concept of "mentality" in foreign psychology. History of domestic and world psychological thought: comprehending the past, understanding the present and foreseeing the future. Moscow: Publishing house "Institute of Psychology of the Russian Academy of Sciences", 2006. (pp. 168-171).

SOME ISSUES OF THE ECONOMIC ASPECT OF THE GEORGIAN NATIONAL MENTALITY

Vladimer Basaria
PhD, Associate Professor,
Sokhumi State University,
vladimerbasaria@yahoo.com

The national economic mentality, which was formed over the centuries under the influence of various factors, determines the nature of the nation's socio-economic rules and their enforcement mechanisms, which, in turn, determine the formation of the historical trajectory of the nation's economic development.

The formation of our national economic thinking is primarily due to a combination of historical-political and natural-geographical factors, under the influence of which our people had to live practically in survival mode for centuries. Households robbed as a result of constant enemy invasions or frequent internal conflicts, lack of land suitable for plowing and sowing, low and unstable yield - it is the long-

term effect of these circumstances that is the echo of the established need in our society for a powerful mechanism of equal distribution in the country; To a large extent, the result of the influence of these events is that the level of paternalistic attitude towards the government is still quite high in our country; Due to the historically weak relationship between individual work and well-being, belief in the inevitability of fate was established in Georgian society and the idea of the possibility of living without work was established.

The above-mentioned national-mental peculiarities are absolutely incompatible with the effective functioning of market mechanisms dependent on the individual initiative of people, therefore these peculiarities of Georgian economic thinking should be considered as important circumstances hindering the development of the country's economic processes.

Orthodox ethics is another important factor influencing the formation of Georgian economic culture. Due to the fact that Christian doctrine does not consider material well-being as a source of human happiness, a kind of negative attitude towards the possession of property has firmly taken hold in Georgian society (we can connect the deepening of this attitude to another important factor determining modern Georgian economic behavior - the result of the influence of the ultra-socialist ideology characteristic of the Soviet era).

It should also be noted here that the result of the centuries-old Christian preaching is the heightened sense of collective (family, group) responsibility and care for the poor and needy in our society. It is possible that such "non-market" nature of Georgian economic thinking will slow down the process of improving the nation's material well-being to some extent, but from the point of view of farming, it would probably be wrong to refer to this mental peculiarity only in a negative context - there is no doubt that collectivism also carries a positive charge for economic development; It is not controversial that the stable growth of the economy is determined by the reasonable distribution of national income.

Another factor that did not go unnoticed in the process of forming our economic mentality is that at the beginning of the 20th century, as a result of the socialist revolution, the country was practically deprived of the means of natural evolution: capitalism did not manage to establish strong habits of work (and entrepreneurship) in Georgia, to work (and entrepreneurship) to establish the necessary positive attitudes in the psyche of the members of the society. The distribution equalization principle introduced as a result of the October Revolution has completely distorted people's economic thinking and instilled in a significant part of society such a mood that the volume-quality of work (activity) has no direct, determining importance for the level of satisfaction of human (personal) needs.

The above-described brief historical retrospective of the formation of the Georgian economic mentality allows us to highlight the main values that our modern economic outlook is based on: state paternalism, traditionalism and collectivism.

The evaluation of the influence of the above-mentioned triad on the development of our country and people is mixed: the value system based on the principles of mutual aid, solidarity, responsibility to society, loyalty to traditions and ideals, on the one hand, contributed to the strengthening of collective security in the country, alleviating the condition of the socially disadvantaged, maintaining a low level of crime, educating the masses distribution, development of science and culture or socially important (public purpose) creation of material and (especially) spiritual goods, while, on the other hand, limited private initiative, labor (entrepreneurial) motivation and competition, individual democratic rights, etc., which undoubtedly had a negative impact on the well-being of our population.

The above-described moods, which are of decisive importance for economic behavior, are so firmly established (implemented) in the consciousness of our society that it is practically impossible to abstract from these moods to objectively study the vector development problems of the modern Georgian economy. Unfortunately, it should be noted that even the scientific studies of the most important issue of the differentiation of Georgian and European socio-economic institutions are often conducted

in complete ignorance of the specific thinking of the Georgian ethnos at a time when the source of the mentioned differences should be sought in the mental value system.

It should be said here that the Georgian economic outlook is more suitable to the Eastern one, but this circumstance should not be perceived as if the Western institutional matrix is fundamentally unacceptable to our society. The Georgian ethnos has a unique historical experience of equal openness to different socio-cultural spaces and receiving the benefits from these relations, which we must successfully use even today.

In Summary, from this point of view (and many other circumstances), in my opinion, it is fully justified for the current government to produce a multi-vector economic policy, which should be freed even more from obsessive considerations from a political position, and everything should be done so that entrepreneurial subjects have the opportunity to choose their own economic activities economically (and not political) should be done depending on the conjuncture - our country should be open for the inflow of investments from the east, south, west or north; The agricultural markets of not only the European Union, but also the CIS, China, Iran, and other countries are vital for us, and it is especially significant that the government is taking serious steps to absorb them.

In the recent period, the processes aimed at improving the country's economy will be greatly benefited by the joint efforts of representatives of scientific circles (economists, sociologists, others) to find ways and means that ensure the mitigation and correction of some absurd, useless economic behavior-mentality established in the society; overcome the mistrust and fear of a significant part of our society towards entrepreneurial activity, which is undoubtedly an obstacle to the development of market relations, difficult to change (but not hopeless); will strengthen the ownership mood-motivation among the members of the society; They will soften the excessive (exaggerated) nature of the role of the government, which is still widely established in a significant part of the society.

At the same time, it is important that these efforts of scientists-researchers are not focused on the strengthening of free economic relations, but on the creation and functioning of such a model of the market economy in the end, under the conditions of which the successful coexistence of our national mentality and the fundamental principles of the market will be guaranteed.

Keywords: mentality; national mentality; national economic mentality; economic behavior; economic culture; economic sentiments; vector development of the economy.